შშმ პირების გაშუქება ქართულ ტელევიზიებში:

გამოწვევები და შესაძლებლობები

ავტორები:
ეკატერინე გიგაური
მარიამ გერსამია

თბილისი
2024

სარჩევი

შესავალი	4
1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია	5
2. ანალიზი და ინტერპრეტაცია	7
2.1. ტერმინოლოგია და თემები	11
2.2. წყაროები	12
2.3. სტერეოტიპები, ნეგატიური და პოზიტიური ფრეიმები	16
3. დასკვნა	25
4. რეკომენდაციები	28
ბიბლიოგრაფია	30
დანართები	32

შშმ პირების გაშუქება ქართულ ტელევიზიებში: გამოწვევები და შესაძლებლობები, 2024

Coverage of Persons with Disabilities on Georgian Television: Challenges and Opportunities, 2024

© ავტორები: ეკატერინე გიგაური, მარიამ გერსამია

რედაქტორი: ლია ტაბატაძე, საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის თავმჯდომარე

რეცენზენტი: ნინო კალანდია, საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია

© ა(ა)იპ - მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი “მედიახმა”, 2024.

კვლევა მომზადდა ევროპის ფონდის დაფინანსებით, პროექტის “სოლიდარობის ჟურნალისტიკა - ინკლუზიისთვის” ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. პროექტი მხარდაჭერილია ინიციატივის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

პროექტის “სოლიდარობის ჟურნალისტიკა - ინკლუზიისთვის” პარტნიორები არიან: მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი “მედიახმა”, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა მშობლების ქსელი „კოალიცია მოძრაობა ცვლილებებისთვის“, საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია.

“მედიახმა” მადლობას უხდის ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის პროგრამის “მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები” სტუდენტებს (მარიამ არახამიას, მარიამ მთივლიშვილს, ფერიდე ბაბაევას და სალომე ნორაკიძეს) კონტრიბუციისთვის.

შესავალი

მედიას, როგორც არაფორმალური განათლების გამტარს, განსაკუთრებული როლი ენიჭება საზოგადოებაში შშმ პირების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაში, მათი უფლებების დაცვისა და შესაძლებლობების რეალიზების საქმეში. წინამდებარე კვლევა სოლიდარობის ჟურნალისტიკის კონცეფციას ეყრდნობა, რომელიც მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერასა და ადვოკატირებას. ყოველივე ეს კი, გადამწყვეტ როლს თამაშობს შშმ პირთა ინტეგრაციის პროცესში.

კვლევის შედეგები დააინტერესებს მოქმედ და მომავალ ჟურნალისტებს, ჟურნალისტიკის პედაგოგებს, შშმ პირების თემის წარმომადგენლებს, მათ მშობლებსა და მეურვეებს, შშმ პირთა ინტერესებისა და უფლებების დამცველებს და ფართო საზოგადოებას. კვლევის შედეგად მომზადდა SWOT ანალიზი და რეკომენდაციები მედიის წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის და სხვ.

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია შშმ პირების საკითხების გაშუქების გზამკვლევისთვის საჭიროებების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის მიგნებები ხელს შეუწყობს ეთიკური მედიაგაშუქებით შშმ პირების შესახებ არსებული სტერეოტიპების შეცვლასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

კვლევა ჩატარდა ორ ფაზად. პირველ ფაზაში მეთოდოლოგიად შეირჩა მედიის კონტენტ-ანალიზი, მეორე ფაზაში კი, თვისებრივი მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენებით ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფი ჟურნალისტებთან, პოლიტიკური პარტიებისა და თემის წარმომადგენლებთან. ორივე ფაზის მიგნებების ინტეგრირების შედეგად მომზადდა SWOT (S-ძლიერი მხარეები, W - სუსტი მხარეები, O-შესაძლებლობები, T-საფრთხეები) ანალიზი, რომელიც წარმოდგენილია დასკვნებში.

- პირველ ფაზაში პასუხი გაეცა კითხვებს: როგორია შშმ პირების ხილვადობა მედიაში (მაგ: სატელევიზიო ბადეში, დღის რომელ მონაკვეთსა და რა ტიპის გადაცემებში შუქდება შშმ პირების შესახებ ამბები)? რამდენად ეთიკური და კვალიფიციურია შშმ პირების შესახებ მომზადებული მასალები? რა სტერეოტიპები ჩანს მედიაგაშუქებაში? სად და რა ხარვეზებია გაშუქებისას? რა ტიპის გადაცემებსა და საეთერო დროს შუქდება მასალები? ვინ არიან წყაროები?

- კვლევის მეორე ფაზაში პასუხი გაეცა კითხვებს: როგორ იგეგმება და უმჯობესია დაიგეგმოს და მომზადდეს შშმ პირების შესახებ მასალები? რით არის განპირობებული სტერეოტიპული გაშუქება და როგორ არის შესაძლებელი მათი შეცვლა? როგორია პირველ ფაზაში გამოვლენილი მედიაგაშუქების ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობები?

კონტენტ-ანალიზისთვის მომზადდა კოდირების გზამკვლევი, განისაზღვრა 7 მთავარი ინდიკატორი და მათში შემავალი ქვეკატეგორიები. ტერმინოლოგიის ნაწილში ქვეკატეგორიები დაიყო სწორ და არასწორ მახასიათებლებად. შემუშავებული მატრიცა მოცემულია ცხრილში N3.

საკვლევის ობიექტების შერჩევა: მედიაგაშუქებაზე დასაკვირვებლად შეირჩა 6 ყველაზე მაღალრეიტინგული ტელევიზია (NDI და IRI კვლევების მიხედვით). ესენია: ტელეკომპანია „იმედი“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „ფორმულა“, „ტვ პირველი“, “მთავარი არხი” და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი.

იქიდან გამომდინარე, რომ საეთერო ბადის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა სახისა და აუდიტორიაზე გათვლილი მედიაპროდუქტი გადის, ანალიზი ჩატარდა შერჩეული ტელევიზიების მთელს საეთერო ბადეზე დაკვირვებით, რომელიც მოიცავდა საინფორმაციო, საავტორო და გასართობ გადაცემებს. ჯამში, მონიტორინგისას 6 სხვადასხვა არხზე დავაკვირდით 93 სხვადასხვა გადაცემას.(“იმედი”-14 გადაცემა, “რუსთავი 2”- 15, “ფორმულა”- 21, “ტვ პირველი”- 18, “მთავარი არხი”- 12 და საზოგადოებრივი მაუწყებელი- 13 გადაცემა). მნიშვნელოვანი იყო ე.წ. პრაიმტაიმის პერიოდზე (20:00-23:00) დაკვირვება, რომელსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს. საეთერო დროის ეს ნაწილი კვლევაშიც გამოკვეთილია.

საკვლევ პერიოდად შეირჩა სამი თვე, კერძოდ: 2022 წლის სექტემბერი და დეკემბერი და 2023 წლის მარტი. შედარებისთვის შერჩეული დეკემბრისა და მარტის თვეებში მსოფლიოში შშმ პირთა საერთაშორისო დღეები აღინიშნება და მედიაში ამბების ინიციირებაც ამ თარიღებთან მიმართებით ხდება. სექტემბერში კი ამგვარი ფოკუსირება მედიაკამპანიებზე არ არის. ამ შერჩევამ შედარებითი ანალიზისა და ზოგად ტენდენციებზე დაკვირვების საშუალებასაც მოგვცა.

კვლევის პერიოდს მონაცემების დამუშავების პროცესში დაემატა 2024 წლის აპრილსა და მაისის თვეში სატელევიზიო სივრცეში გასული მასალები „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციების შესახებ სულ: 12 სიუჟეტი, შშმ პირების პოზიცია და მათი აქტიურობა მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ექვსივე ტელევიზიამ გააშუქა. მნიშვნელოვანია, რომ ამ საერთაშორისო

რეზონანსის მქონე მოვლენის გაშუქებისას, აქციის მონაწილეებში შშმ პირები ფიგურირებდნენ, როგორც აქტივისტები და მათი პოზიციონირება მედიაში საყურადღებოდ ჩავთვალეთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული კანონპროექტის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა ორგანიზაცია "მე დავინახე"-ს მიერ რომელიც ასევე გაშუქდა და აქაც, შშმ პირები წარმოდგენილები იყვნენ როგორც აქციის ორგანიზატორები და აქტივისტები. აქვე, უნდა ითქვას, რომ საქართველოში საპროტესტო აქციებზე შშმ პირების აქტიურ ჩართულობას თავისი გამოკვეთილი ისტორია აქვს, რომელიც სამეცნიერო კვლევის ობიექტი აქამდე არ გამხდარა. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შშმ პირების ჩართულობა და მათი ხილვადობა 1989 წლიდან გამოკვეთილია. სამოქალაქო მეხსიერება და მედია არქივები ინახავს 1989 წლის 9 აპრილის ღამეს, რუსი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის აუდიო-ვიზუალურ მასალას, სადაც უსინათლოთა კავშირის წარმომადგენელი ლელა ვეფხვაძე, რუსი ჯალათების მიერ მომიტინგეების დარბევისას, რუსთაველის გამზირზე, ფანდურზე „სალაღობოს" ასრულებს. 9 აპრილის გმირებს ყოველწლიურად იხსენებენ მედიით და უსინათლო ლელა ვეფხვაძისა და მისი მეგობრების დონარა ცხადიაშვილის, ნაირა კილაშვილის, თინათინ ბირკაძის, სიმღერა იკონურ ვიდე-აუდიო კადრებადაა შემონახული.

2024 წელს, აპრილ-მაისის თვეში, საქართველოში მასშტაბით ყველაზე დიდ დემონსტრაციებზე შშმ პირების პოზიციონირება ჩვენი დაკვირვების საგანი ამ პარალელის გამოც გახდა, რადგან "რუსული კანონის" გაპროტესტება არაერთხელ შეადარეს 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებს. ასევე, პროტესტის ფარგლებში, გაიჟღერა თუ როგორ შეიძლება დააზიანოს შშმ პირების უფლებები "რუსულმა კანონმა".

მეორე ფაზაში, და ფოკუს-ჯგუფებისთვის მომზადდა დისკუსიის გზამკვლევი, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუებისთვის მომზადდა სამი სახის კითხვარი (ჟურნალისტებისთვის, პოლიტიკოსებისთვის და შშმ პირების მშობლებისთვის), განისაზღვრა პირველადი კითხვები. მაისსა და ივნისში ჩატარდა რვა ინტერვიუ პოლიტიკური პარტიების (სტრატეგია აღმაშენებელი, გირჩი - მეტი თავისუფლება) წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებთან (სამი ჟურნალისტი "ტვ პირველიდან", ორი ჟურნალისტი "რუსთავი 2"-დან), შშმ პირის მშობელთან. ივნისის თვეში ჩატარდა ონლაინ ფოკუს-ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, სტუდენტები, განათლების სექტორის და შშმპ თემის წარმომადგენლები. მონაცემები დამუშავდა და დაინტეგრირდა შედეგებში. დისკუსიის გზამკვლევი და კითხვარები იხილეთ დანართის სახით.

2. ანალიზი და ინტერპრეტაცია

კვლევის პერიოდში ჯამში დამუშავდა 194 ჟურნალისტური მასალა, სადაც გაშუქებული იყო კვლევის პერიოდში შშმ პირთა საკითხები. ეს დაახლოებით 511 წუთი (დაახლოებით 8 საათი და 32 წუთი) და 115 კალენდარული დღეა. ტელევიზიების მიხედვით მასალები შემდეგნაირად გადანაწილდა: „რუსთავი 2“-ზე მომზადდა 58 მასალა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე - 50, „იმედზე“ - 43, „ფორმულაზე“ - 18, „ტვ პირველზე“ - 16, ხოლო „მთავარ არხზე“ - 9. გადანაწილება წარმოდგენილია ცხრილში N1.

ცხრილი N1: მასალების გადანაწილება ტელევიზიებში



22.10	იმედი
28.89	რუსთავი 2
26	საზოგადოებრივი მაუწყებელი
8.24	ტვ 1
9.27	ფორმულა
4.63	მთავარი

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, **შშმ პირებზე მომზადებული მასალა პრაიმტაიმში მხოლოდ 6-ჯერ მოხვდა, რაც საერთო დამუშავებული სიუჟეტების 3 %-ია.** აქედან, სამჯერ “ტვ პირველის” საეთერო ბადეში, ორჯერ “რუსთავი 2”-ზე და ერთხელ საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ხოლო, “იმედზე”; “ფორმულასა” და “მთავარ არხზე” პრაიმტაიმში არც ერთხელ, არ გაშუქებულა შშმ პირების საკითხები.

ზოგადად, საკვლევი თემა ექვსივე არხის საეთერო დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ჩანს როგორც საინფორმაციო გადაცემებში, ასევე დილის გასართობი ტიპის გადაცემებშიც. საკვლევ პერიოდში მოცულობით ყველაზე დიდი სიუჟეტი გავიდა “ფორმულაზე” (ქრონომეტრაჟით 21,41 წთ) და მიეძღვნა დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს. გადაცემაში “ფორმულა ნიუსი 09:00” სტუმრად მოწვეული იყო, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი და მისი მშობელი, გაჟღერდა მნიშვნელოვანი და პოზიტიური მესიჯები, ასევე ჟურნალისტების მხრიდან გამოხატული იყო სოლიდარობა და რაც მთავარია, მთავარი გმირი წარმოდგენილი იყო, როგორც აქტიური და პოზიტიური ადამიანი.

გაშუქებული მასალის სიხშირე თვეების მიხედვით მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2: შშმ პირების საკითხების გაშუქება თვეების მიხედვით



ცხრილიდან ჩანს, რომ 6-დან 4 ტელევიზია (“რუსთავი 2”, “ტვ პირველი”, “ფორმულა” და “მთავარი არხი”) შშმ თემატიკას უფრო მეტად აშუქებდა სწორედ იმ თვეებში (დეკემბერი და მარტი), როცა აღინიშნებოდა შშმ პირთა საერთაშორისო დღეები. თუმცა, საინტერესოა, რომ “იმედზე” და საზოგადოებრივ მაუწყებელზე სექტემბერში უფრო მაღალია მაჩვენებელი და ეს განაპირობა პარასპორტსმენთა წარმატებულმა ასპარეზმა სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებაში, რომელსაც აქტიურად აშუქებდა სწორედ ეს ორი ტელევიზია.

კონტენტ-ანალიზისთვის შემუშავდა კოდირების გაიდლაინი, გამოიყო შვიდი კატეგორია და ქვეკატეგორიები, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში N3.

ცხრილი N3: შშმ პირების გაშუქების მახასიათებლები

N	ინდიკატორი	ქვეინდიკატორი
1	**ტერმინოლოგია**	✔ **სწორი:** • ეტლით მოსარგებლე (მოფარიკავე, პარასპორტსმენი) • სმენადაქვეითებული • უსინათლო, მცირედმხედველი • ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი/შშმპ • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი • აუტისტური სპექტრის მქონე • დაუნის სინდრომის მქონე პირი ✘ **არასწორი:** • ინვალიდი • ბრმა • უნარშეზღუდული • ეტლს მიჯაჭვული • დაუნი • აუტისტი
2	**აუდიო-ვიზუალური გაფორმება**	• შშმ პირი კადრში • ინფოგრაფიკები და სტატისტიკა • ემოციური ფონისა და გაშუქების ტონის შექმნა მუსიკით, ფერებით, ინტონაციით და სხვ.
3	**პრობლემების იდენტიფიცირება და წარმოჩენა**	• ცოდნის ასამაღლებელი ისტორიები იშვიათი დაავადების შესახებ • შშმ პირი, როგორც ქველმოქმედების სუბიექტი • ნეგატიური ისტორიები • კრიმინალი და შშმ პირები • შშმ პირების წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემის წარმოჩენა • უფლებრივი მდგომარეობის გაშუქება
4	**პოზიტიური წარმოჩენა, ემოციური მხარდაჭერა**	• პოზიტიური ისტორიები შშმ პირებზე (მაგ., • ინდივიდუალიზმის ხაზგასმა) • სოლიდარობისა და ემპათიის გამოხატვა • ტოლერანტობის ჩვენება • წარმატებული შშმ პირები • შშმ პირებთან დაკავშირებული აქციები, ფესტივალები, საერთაშორისო დღეები • საგანმანათლებლო ტრენინგებსა ვორქშოპებში ჩართულობა • ინფრასტრუქტურისა და რეაბილიტაციის პროექტები • ჯანდაცვის პროექტები

5	**წყაროები**	• შშმ პირი • მშობელი, მეურვე • ექსპერტი • არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი • ხელისუფლების წარმომადგენელი • ოპოზიციის წარმომადგენელი • მოქალაქე (მაგ: vox-populi) • მასწავლებელი
6	**დამკვიდრებული სტერეოტიპები მედიაში**	• შშმ პირი, როგორც სიბრალულის ობიექტი • შშმ პირი კომიკურ, დასაცინ კონტექსტში • შშმ პირი, როგორც „ტვირთი“ • მითები შშმ პირებზე (მაგ: დაავადებები გადამდებია) • შშმ პირები, როგორც გმირები (პოზიტიური დისკრიმინაციის კონტექსტი) • ასოციალური ქცევების შეზღუდულ შესაძლებლობასთან, მდგომარეობასთან დაკავშირება • სხვადასხვა სახის სტიგმატიზაცია
7	**მასალის გავრცელების ფორმები**	• მასალის ქრონომეტრაჟი • გადაცემის ტიპი • საეთერო დრო: პრაიმტაიმი/არა პრაიმტაიმი

ამ კატეგორიებად დაყოფა განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- არასწორად გამოყენებულმა ტერმინოლოგიამ შესაძლოა გამოიწვიოს შშმ პირთა სტიგმატიზება და ასევე, შეურაცხყოს ისინი და შშმ პირების ოჯახის წევრებიც. საკვლევ პერიოდში არასწორ და დამაკნინებელ ტერმინოლოგიას არც ჟურნალისტები და არც რესპონდენტები არ იყენებენ. გვხვდება მცირედი უზუსტობები, როგორიცაა მაგალითად ის, რომ ზოგჯერ, ტერმინს “შეზღუდულ შესაძლებლობას” ჟურნალისტები მრავლობით რიცხვში ამბობენ.

- მედია-მონიტორინგისას დავითვალეთ თუ რამდენჯერ გამოჩნდა ამა თუ იმ კატეგორიის რესპონდენტი. აუდიო-ვიზუალური მასალის მსგავსად, აქაც გვაინტერესებდა შშმ პირების გამოჩენის სიხშირე, თუმცა განსხვავება ისაა, რომ აუდიო-ვიზუალურ მასალაში გვაინტერესებდა მასალათა ის რაოდენობა, რომელშიც შშმ პირი გამოჩნდა, ხოლო რესპონდენტთა ინდიკატორში უშუალოდ მათი და სხვა რესპონდენტთა რაოდენობა.

- სატელევიზიო პროდუქტის სტრუქტურის ანალიზმა გამოკვეთა თუ რა მოცულობის სიუჟეტები მზადდება, ვის მიერ და საეთერო ბადის რა ნაწილს მოიცავს თემა. სტრუქტურის ანალიზი გვეხმარება დავინახოთ სარედაქციო პოლიტიკის დამკვიდრებული პრაქტიკაც.

- ანალიზისას მნიშვნელოვანია იმ თემების მრავალფეროვნება, სადაც ჩანან შშმ პირები. ერთფეროვნებამ შესაძლოა სტერეოტიპების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. მაგალითად, თუ სულ გაშუქდა ნეგატიური და დამთრგუნველი ტიპის ამბები შშმ პირებზე, მათი ინდივიდუალიზმის და შესაძლებლობების წარმოჩენის გარეშე, საზოგადოებაში გამყარდება სტერეოტიპი, რომ შშმ პირები არიან “ტვირთი” საზოგადოებისა და ოჯახებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ სტიგმატიზაციას.

2.1. ტერმინოლოგია და თემები

ჯამში, სულ შშმ პირების მაიდენტიფიცირებელი ტერმინები 172-ჯერ დაფიქსირდა. აქედან, ყველაზე მეტად გამოყენებულია ტერმინი "შშმ" (54%). შემდეგ მოდის "ეტლით მოსარგებლე" (11%), "აუტისტური სპექტრის მქონე"(10%), "დაუნის სინდრომის მქონე" (10%), "სპეციალური საჭიროების მქონე პირი" (9 %), "უსინათლო" (4%) და "სმენა დაქვეითებული" (2 %). ხოლო, ტერმინი "ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები" საერთოდ არ გამოყენებულა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი არც არის ფართოდ დამკვიდრებული საქართველოში და მას მხოლოდ რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები იყენებენ. ტერმინოლოგიის განაწილება წარმოდგენილია ცხრილში N4.

ცხრილი N4: რა ტერმინებით მოიხსენიებენ შშმ პირებს სატელევიზიო მედიაში?



სიღრმისეული ინტერვიუებისას, შეკითხვაზე „როცა გესმით შშმ პირები, რა ჯგუფები გახსენდებათ?" ყველა ჟურნალისტმა ახსენა ეტლით მოსარგებლეები, მხედველობის არმქონე ან მცირედმხედველი, სმენადაქვეითებულ პირები. ასევე, ახსენეს ფიზიკური (კიდურ(ებ)ის არმქონე) და ფსიქიკური დარღვევების მქონე და აუტისტური სპექტრის მქონე პირები.

პოლიტიკოსებმაც იგივე ჯგუფები ჩამოთვალეს. ასევე, ახსენეს დაუნის სინდრომის მქონე პირები და ისინი, ვისაც აქვს შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობა. ყურადღება გამახვილდა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზეც.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): „როცა მესმის შშმ პირები, მახსენდება სიტყვა „მოწყვლადი“. ამ კუთხით, უფრო მოწყვლადნი არიან შშმ ქალები, გოგონები და ბავშვები“.

გამოკითხულ ჟურნალისტთა უმრავლესობა თვლის, რომ სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემები არასაკმარისად შუქდება და ის ძირითადად მნიშვნელოვან თარიღებს უკავშირდება. ასევე, ნახსენები იყო სპეციფიკური გადაცემები და ჟურნალისტები, რომლებიც დროდადრო შშმპ თემებით ინტერესდებიან. სხვა შემთხვევაში, ჟურნალისტები იხსენებენ კრიმინალურ, ყვითელ და სენსაციურ ამბებს, რადგან სწორედ ამ ფოკუსის გამო გაშუქდა შშმ პირების შესახებ მასალა.

ტვ პირველი (რესპონდენტი N5): „ინტენსივობა დაბალია, რადგან სანამ კონკრეტული ქეისი არ გაჩნდება (მაგალითად ძალადობის), მედია ამ თემებზე ყურადღებას არ ამახვილებს. არის გადაცემები, რომლებიც ცდილობენ ამბავსა და პრობლემაზე პოსტ-ფაქტუმ არ დაიწყოს მსჯელობა“.

ჟურნალისტების აზრით, მედია სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემებს არასაკმარისად აშუქებს, თუმცა დინამიკა მაინც მზარდია.

რესპონდენტი N6: „რამდენიმე სპეციფიკური გადაცემა მახსენდება, რომლებიც ამ თემით ინტერესდებიან. შშმ პირების ხმა უფრო მეტად ისმის ონლაინ-მედიაში“.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს გაუჭირდათ შშმ პირების გაშუქების მაგალითების გახსენება. მათი აზრით, ამის მიზეზი ისაა, რომ ახალი ამბები ეთმობა სენსაციებს და/ან პოლიტიკურ ამბებს, სადაც შშმ პირები ნაკლებად ფიგურირებენ. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს:

- „ქართულ მედიაში შშმ პირები აღქმულები არიან, როგორც ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ შშმ საკითხებზე ისაუბრონ, რაც არასწორია. შშმ თემები იშვიათად გვხვდება პოლიტიკურ დღის წესრიგში და მედიაც ნაკლებ ინტერესდება პოლიტიკოსების აზრით ამ თემაზე. ჟურნალისტები არ ინტერესდებიან ჩვენით, როგორც უბრალოდ, სამოქალაქო აქტივისტებით ან მოქალაქეებით. ძალიან არასწორია ის აზრი, რომ ქვეყანაში არსებული რაიმე პრობლემა შშმ პირებს არ ეხება, შშმ პირებს ეხება ყველაფერი ისევე, როგორც დანარჩენ მოსახლეობას“ (თემის წარმომადგენელი);

- „მედიას შშმ პირები ძირითადად სპეციალურ, საერთაშორისო დღეებში ახსენდება და სიბრალულის გამოწვევას ცდილობს საზოგადოებაში“ (სტუდენტი);

- „შშმ პირების პრობლემების მოგვარება პოლიტიკოსების პასუხისმგებლობაა, მაგრამ ეს მათ მედიამ უნდა შეახსენოს და კიდევ ერთხელ დაავალდებულოს, რომ გადადგან შესაბამისი ნაბიჯები“ (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი).

2.2. წყაროები

ინდიკატორი “წყაროები” შედგება 6 ქვეკატეგორიისაგან. ესენია: შშმ პირი, მშობელი/მეურვე, სხვადასხვა ექსპერტი (იგულისხმება როგორც დარგის სპეციალისტი, ასევე შშმ პირთა ადვოკატირებაში ჩართული, სერვისის მიმწოდებელი პირები), ხელისუფლება/ოპოზიციის წარმომადგენელი, მოქალაქე და მასწავლებელი. მონიტორინგისას გამოიკვეთა 3 ძირითადი ტიპის რესპონდენტი. ესენია: პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, შშმ პირები და ექსპერტები. ცხრილში N5 წარმოდგენილია ყოველ ტელევიზიაში ამა თუ იმ წყაროს წილი.

ცხრილი N5: ვინ არიან წყაროები შშმ პირების თემების გაშუქებისას?



საინტერესოა, რომ პოლიტიკური პარტიებიდან, ძირითადად, წარმოდგენილები იყვნენ ხელისუფლებაში მყოფი პირები. მთელი კვლევის განმავლობაში, მხოლოდ "რუსთავი 2"-ზე ფიქსირდება ოპოზიციური პარტია "სტრატეგია აღმაშენებელი". ასევე, ნინო ორდენიძემ "ევროპული საქართველოდან" შშმ ბავშვების რეაბილიტაციისთვის 2023 წლის ბიუჯეტში მეტი თანხის გამოყოფა მოითხოვა.

ექვსიდან 3 არხზე, შშმ თემატიკაზე მომზადებულ სიუჟეტებში, ყველაზე ნაკლებად რესპონდენტების ამპლუაში სწორედ შშმ პირები ჩანან. "ტვ პირველსა" და "მთავარ არხზე" უფრო მეტად ჩანან ის ადამიანები და ექსპერტები რომლებიც შშმ პირებს სხვადასხვა ტიპის სერვისს სთავაზობენ და ორიენტირებულები არიან მათ ინტეგრაციასა და უფლებათა დაცვაზე. "ფორმულა" არის ერთადერთი ტელევიზია, სადაც შშმ პირები, როგორც რესპონდენტები რაოდენობრივად უფრო მეტად ჩანან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროცენტული განაწილება ითვლება ინდივიდუალური არხის მიხედვით და რაოდენობრივად საზოგადოებრივ მაუწყებელს უფრო მეტი 18 შშმ რესპონდენტი ჰყავს. მოცემული მიგნებიდან გამომდინარე, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ტელევიზიები პასიურობენ შშმ პირთა ხილვადობის ამაღლებაზე. აუცილებელია, როცა ჟურნალისტმა შშმ პირთა საკითხის გაშუქებისას სულ მცირე ერთი შშმ პირი ან მათი მშობელი/მეურვე ჩაიწეროს. არის შემთხვევები, როცა შშმ პირი საერთოდ კადრშიც კი არ ჩანს.

კვლევამ აჩვენა, რომ ჟურნალისტებს არასდროს ავიწყდებათ პოლიტიკური პარტიების თუ ექსპერტების სახელის და გვარის დაწერა ტიტრებში, ხოლო შშმ პირებისა და მათი მეურვეების/მშობლების ვინაობა არაერთ შემთხვევაშია გამორჩენილი.

სიღრმისეული ინტერვიუებისას, ჟურნალისტები განმარტავენ მიზეზებს, რის გამოც ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემების გაშუქებისას (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ამბები და სხვ.) შშმ პირები არ ჩანან, როგორც რესპონდენტები. ეს არის ინკლუზიის ნაკლებობა. ამის მიზეზად ასახელებენ საზოგადოებასა და მედიაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებსაც.

ტვ პირველი (რესპონდენტი N1): „მედიაში ხილვადობისა და რესპონდენტებად სხვადასხვა თემაზე შშმ პირების ნაკლებობის მიზეზი ალბათ ის არის, რომ საქართველოში შშმ პირები, ნაკლებად არიან ჩართული მიმდინარე სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): „ამის მიზეზი საზოგადოებაში ძალიან არასწორად დამკვიდრებული აზრია, რომ შშმ პირები არ არიან საკმარისად კომპეტენტურები“.

რესპონდენტი N5: ინკლუზიის პრობლემაა. ისინი არ არიან დასაქმებულები. ვინც დასაქმებულია, ის აქტიურადაც ჩანს. ნამდვილად იშვიათობაა, რომ შშმ პირები იმ თემებზე იყვნენ რესპონდენტები, რომლებიც მათ პრობლემატიკას არ ეხება. არც მახსენდება, რომ ეკონომიკის სფეროზე ვინმე ასეთი რესპონდენტი ჩამეწეროს. არადა, სავარაუდოდ არის კიდეც და ეს ჩვენ არ ვიცით. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ისინი საზოგადოებაში არ არიან სათანადოდ ინტეგრირებულები, ამიტომ მედიის მხრიდან დაინტერესებაც ნაკლებია.

რესპონდენტი N6: ფუნდამენტურ პრობლემასთან მივდივართ, რაც შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას უკავშირდება. მედია აირეკლავს ამ პრობლემას - რესპონდენტებადაც არ ჩანან შშმ პირები. შშმ პირების უფლებები არაა დაცული და ისინი ნაკლებად მონაწილეობენ თავად შშმ პირების პოლიტიკის შემუშავებაში, რაც ასევე არის მათი ხილვადობის პრობლემის მიზეზი.

უმეტესწილად, შშმ პირები მედიაში ფიგურირებენ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ თემს ეხება. შეკითხვაზე „რა არის იმის მიზეზი, რომ ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემების გაშუქებისას (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ამბები და სხვ.) შშმ პირების არ ჩანან, როგორც რესპონდენტები?“ პოლიტიკოსებმა ახსნეს ხილვადობის პრობლემით და ორივე მხრიდან ნაკლები აქტიურობით.

გირჩი - მეტი თავისუფლება (რესპონდენტი N3): ზოგადად, ადამიანის კომპეტენციაა მნიშვნელოვანი და არა ის, საზოგადოების მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენს თუ - არა. შშმ პირების თემებზე ისინი უფრო მეტად ჩნდებიან მედიაში, რადგან უშუალოდ მათგან მოსმენილი პრობლემა უფრო გასაგები ხდება საზოგადოებისთვის. მედია სხვადასხვა თემებზე სასაუბროდ ნაკლებად იწვევს იმიტომ, რომ ხილვადობის პრობლემაა.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): ეს ორმხრივი პრობლემაა. თავად შშმ პირების მხრიდანაც არ არის სათანადო აქტივობა. მედიის ცნობიერებაც დაბალია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომაა აუცილებელი, რომ დახარჯონ მეტი დრო შშმპ რესპონდენტების მოსაძიებლად. არ არის გენდერული ბალანსიც. კიდევ უფრო მეტი შრომაა საჭირო იმისთვის, რომ შშმპ რესპონდენტები მოიძიო, დაუკავშირდე, ფიზიკურად მოიყვანო ან მიხვიდე. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ თუ რა ტემპსა და რეჟიმში უწევთ ჟურნალისტებს მუშაობა, ამით აიხსნება რომ ზედმეტ შრომას თავს არიდებენ და ისეთ რესპონდენტებს ირჩევენ, ვისი ჩაწერაც უფრო მარტივია.

ხილვადობის გასაუმჯობესებლად და ბარიერების დასაძლევად, საჭიროა რესპონდენტების მოძიება. კარგი იქნება თუ საკონტაქტო ბაზა იქნება შშმ პირების, სადაც სხვადასხვა სფეროს ადამიანების მოძიებას შეძლებენ ჟურნალისტები. ეს შეიძლება რომელიმე ორგანიზაციამ მოამზადოს.

პოლიტიკოსები და პარტიების წარმომადგენლები აქტიურად არ საუბრობენ შშმ პრობლემატიკაზე. ამაზე, პოლიტიკოსებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ერთნი თვლიან, რომ პარტიები ამას მომგებიანად არ თვლიან, რადგან საარჩევნო ხმების მობილიზების კუთხით არ მიაჩნიათ ეფექტიანად. მეორენი თვლიან, რომ ამის მიზეზი ის პოლიტიკური დღის წესრიგია, რომელიც განდევნის მსგავს თემებს დღის წესრიგიდან.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): „საკითხები, რომლებიც უფრო სიღრმისეულ მსჯელობას მოითხოვს, არ დგება დღის წესრიგში. ვერ ვიტყვი, რომ შშმ პირების უფლებების დაცვა არ გვაწუხებს, უბრალოდ, ვერ ხერხდება ამაზე აქტიურად მსჯელობა. გადაცემები არ ეძღვნება ამ თემას და შესაბამისად, ფორმაშიც ვეღარ ვართ, როცა ამ თემების განხილვას ეხება საქმე. შშმ პირების პრობლემების გააზრება არაა მარტივი“.

შშმ პირის მშობელი ამ საკითხს განსხვავებულად უყურებს. რესპონდენტებმა სიღრმისეული ინტერვიუების დროს ახსენეს აქტიური შშმპ მშობელი, რომელსაც ასევე დავუკავშირდით სიღრმისეული ინტერვიუსთვის. მშობელი თვლის, რომ სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემები არასაკმარისი ინტენსივობით და არასრულფასოვნად შუქდება და ამას განაპირობებს იმ პოლიტიკური ამბების დღის წესრიგი, რომელსაც მედია მიჰყვება.

შშმ პირის მშობელი (რესპონდენტი N8): შშმ პირების თემები შუქდება მაშინ, როცა ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობა არაა მწვავე და ჟურნალისტებს თემები შემოაკლდებათ. ასევე, თუ ამბავი სკანდალურია. სხვა შემთხვევაში, ჟურნალისტებისა და თოკ-შოუს წამყვანებისგან უარს ვიღებთ გაშუქებაზე.

მშობელმა ინტეგრაციის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ აუცილებელია ყოველდღიურ ამბებში მოხდეს შშმ პირების პრობლემების ინტეგრაცია, რაც ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებისას დამატებით კუთხესაც აჩენს. შშმ პირის მშობლის აზრით, მიზეზი იმის, რომ უმეტესწილად, შშმ პირები მედიაში ფიგურირებენ მხოლოდ იმ თემებზე, რომლებიც მათ თემს შეეხება და არ ჩანან სხვადასხვა თემაზე რესპონდენტებად, გამოწვეულია საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულებითაც.

შშმ პირის მშობელი (რესპონდენტი N8): „მიუხედავად იმისა, რომ ცნობიერება ამაღლდა, ჩვენი საზოგადოება მაინც მიიჩნევს, რომ შშმპ თემი ცალკე მდგომია. არადა, ის მეინსტრიმულად უნდა იყოს განხილული ყოველ პრობლემასთან მიმართებით. მაგ., გაწყდა წყალი, ამ დროს შშმ პირის პრობლემა უნდა ასევე გაშუქდეს, რადგან ეს პრობლემა მათთვის დამატებით პრობლემას ქმნის. შშმ პირები დამატებით კუთხეს წარმოაჩენენ, რომელიც სამწუხაროდ არ ჩანს“.

მშობელი კრიტიკული იყოს პოლიტიკოსების მისამართით, რომლებიც ნაკლებად ინტერესდებიან თემის პრობლემებით და მათი დამოკიდებულება (განსაკუთრებით მმართველი გუნდის) შესაცვლელია. კითხვაზე „რატომ არ/ვერ საუბრობენ პოლიტიკოსები და პარტიების წარმომადგენლები აქტიურად და კომპეტენტურად შშმპ პრობლემატიკაზე?“ პასუხისას, მშობელმა გაიხსენა დისკრიმინაციის მაგალითები პოლიტიკოსების მხრიდან.

შშმ პირის მშობელი (რესპონდენტი N8): როცა ჩვენი თემი აქტიურობდა ე.წ. რუსულ კანონთან მიმართებით, პარლამენტარმა გია ვოლსკიმ („ქართულ ოცნებიდან“) თავის განცხადებებში ისე წარმოაჩინა, რომ შშმპ თემი შეცდომაში შეიყვანეს, თითქოს ისინი ვერ აზროვნებენ და უბრალოდ იმეორებენ სხვის აზრებს. მმართველი გუნდის აზრით, შშმ პირები არიან ქველმოქმედების ობიექტები, რომლებსაც შშმ პირების დღეს „ფოჩიანი კანფეტები“ უნდა მისცე. მათი მიზანი არაა, რომ შშმ პირებს ისეთი გარემო შეუქმნან, რომ თავად შეძლოს პრობლემებთან გამკლავება.

მშობელმა ოპოზიციაც გააკრიტიკა, რომელიც არ ინტერესდება შშმ პირების პრობლემებით და ვერც ერკვევიან პრობლემების არსში.

შშმ პირის მშობელი (რესპონდენტი N8): „არც მმართველმა პარტიამ და არც ოპოზიციამ არ იცის, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შშმ პირები და მათი მშობლები, ოჯახის წევრები ასევე არიან ამომრჩევლები. ეს არ აქვთ გააზრებული. ისინი არ ფიქრობენ ამ ხმებზე. ასევე, შშმ პირების მიმართ უნდა იყოს ღირსეული დამოკიდებულება და არა შეცოდება“.

იმისთვის, რომ მედიამ შეცვალოს სტერეოტიპები, საჭიროა შშმპ თემების გაშუქებას სათანადო დრო დაეთმოს, რაც არ ხდება. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს:

- „ამ საკითხებს ძალიან ცოტა დრო ეთმობა მედიაში და შესაბამისად, სტერეოტიპებთან გამკლავებაში მედიის როლიც ნაკლებია“ (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი);

- „ჟურნალისტმა შეიძლება სწორი ტერმინოლოგია გამოიყენოს, სწორი რაკურსით გააშუქოს შშმ პირი, მაგრამ მერე დაადოს ისეთი ტექსტი ან მუსიკა, რომელიც გათვლილია მაყურებელთა ემოციებზე. ეს ხშირად ემსახურება იმ სტერეოტიპის გამყარებას, რომ შშმ პირები შესაცოდები არიან. ზოგჯერ, ხდება პოზიტიური დისკრიმინაცია და მათი ჰეროიზირება, ესეც სტერეოტიპების გამყარებაა. გვხვდება პოზიტიური დისკრიმინაციის მაგალითებიც. შშმ პირებთან დაკავშირებულ სტერეოტიპებთან ბრძოლა მათი ნორმალიზებითაა შესაძლებელი“ (თემის წარმომადგენელი);

- „გამოწვევაა ის, რომ ჟურნალისტების მიზანი შშმ საკითხების გაშუქებისას ხშირად არის საზოგადოებაში სიბრალულის გაღვივება და არა რეალობის ასახვა, რაც არ მიმაჩნია სწორედ“ (სტუდენტი).

შშმპ თემი აქტიური იყო 2023-24 წლებში საპროტესტო დემონსტრაციებისას, რომელიც გაიმართა ე.წ. აგენტების კანონის მიღებისას. 2024 წელს მედიამ არაერთი მასალა მოამზადა შშმ პირების ჩართულობაზე, გაშუქდა მათი განცხადებები და ყურადღება გამახვილდა იმ ზიანზე, რომელიც ამ კანონის მიღებას შესაძლოა მოჰყვეს. სატელევიზიო სიუჟეტები მოამზადეს ტელეკომპანია “ფორმულამ” (05.04.2024), ტელეკომპანიამ “მთავარი არხი” (13.05.2024), ონლაინ-პორტალმა “პუბლიკამ” (08.04.2024) და სხვ. მედიის მიერ მომზადებულ მასალებში რესპონდენტები იყვნენ თემის წარმომადგენლები.

2.3. სტერეოტიპები, ნეგატიური და პოზიტიური ფრეიმები

ეს კატეგორიები გამოკვეთს სტერეოტიპებს მედიაში და შშმ პირების ნეგატიური და პოზიტიური წარმოჩენის ტენდენციებს.

არც ერთ არხზე გასულ, არც ერთ მასალაში არ იყო ჩვენ მიერ წინასწარი ვარაუდით მონიშნული შემდეგი კატეგორიები:

- შშმ პირი სიბრალულის ობიექტი
- შშმ პირი კომიკურ/ დამაკნინებელ კონტექსტში
- შშმ პირი - ტვირთი
- მითები შშმ პირებზე (დაავადების გადადება და სხვა)
- ასოციალური ქცევების შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირება
- სტიგმატიზაცია
- შშმ პირი როგორც სუპერგმირი: პოზიტიური დისკრიმინაციის ელემენტები, შშმ პირის მდგომარეობის (მაგ. დაუნის სინდრომი) დაავადებად ინტერპრეტირება

ცხრილში N6 მოცემულია თუ რა აქცენტებით აშუქებდა მედია შშმ პირების საკითხებს.

ცხრილი N6: ნეგატიური და პოზიტიური ფრეიმინგი

	იმედი	რუსთავი 2	საზ. მაუწყებელი	ტვ პირველი	ფორმულა	მთავარი არხი	ჯამი
პოზიტიური ისტორიები შშმ პირებზე	15	19	21	2	6	**1**	**64**
იშვიათ დაავადებებზე ცოდნის ასამაღლებელი ისტორიები	0	0	0	0	0	**1**	**1**
შშმ პირი, როგორც ქველმოქმედების ობიექტი	0	1	7	2	3	0	**13**
წარმატებული შშმ პირები	2	12	6	0	3	0	**23**
ნეგატიური ისტორიები/ კრიმინალი და შშმ პირები	1	6	0	0	3	0	**10**
სხვადახვა პრობლემა	0	5	5	9	6	2	**27**

როგორც ვხედავთ, ყველაზე ხშირად შშმ პირებზე პოზიტიური ისტორიები შუქდება 46,37% , შემდეგ მოდის მათი პრობლემები 19,56 %; წარმატებული შშმ პირები16,66 %; შშმ პირები როგორც ქველმოქმედების ობიექტი 9,42 %; და ნეგატიური ისტორიები- 7,24 %.

იშვიათი დაავადებების შესახებ ცოდნის ასამაღლებელი სიუჟეტი, რომელიც თემატური მრავალფეროვნების და შშმ პირთა ხილვადობის გასაზრდელად მნიშვნელოვანია, გვხვდება მხოლოდ "მთავარ არხზე" 2023 წლის 2 მარტს, გადაცემაში, "შენი დილა 07:30" . სიუჟეტი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის მომზადდა არა საერთაშორისო დღის აღნიშვნის კონტექსტში, არამედ რიგით დღეს.

ვინაიდან შშმ პირების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მომზადებულ სიუჟეტებში, ბუნებრივია განხილულია სხვადასხვა დაავადება და მდგომარეობა. "მთავარი არხის" შემთხვევაში, 2023 წლის 2 მარტს გადაცემა "შენ დილაში" საუბარი იყო დაუნის სინდრომზე. სტუმარმა, ზანდა ჩეჩელაშვილმა, ძალიან საინტერესოდ და მრავლისმომცველად ისაუბრა დაუნის სინდრომზე. აღნიშნა ისიც, თუ რატომ აღინიშნება წლის მესამე თვის 21-ე დღეს დაუნის სინდრომის დღე (განმარტა, რომ ეს უკავშირდება 21-ე ქრომოსომის ტრისომიას) აღწერა განსხვავება გენეტიკურ და მემკვიდრულ მდგომარეობებს შორის. ექსპერტმა, აღნიშნა ასევე ისიც, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები რაოდენობრივად, უფრო მეტი ჰყავთ 35-წლამდე დედებს, რითაც უარყო საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპი, რომ ამ სინდრომის ბავშვები მხოლოდ 35-წელს ზემოთ მშობლებს ჰყავთ. მიუხედავად ამისა, ამ 18 წუთიან სიუჟეტში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანის არც ვიდეო და არც ფოტო მასალა არ გვხვდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიური ისტორიები ძირითადად დაკავშირებულია პარასპორტსმენების წარმატებებთან სწორედ სექტემბერსა და დეკემბერში, როცა საქართველოს პარამოფარიკავეებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. ეს ამბავი ყველა მედიამ გააშუქა "მთავარისა" და "ტვ პირველის" გარდა. ინტერვიუ ჩამოართვეს სამივე პარასპორტსმენს: ირმა ხეცურიანს, გვანცა ზადიშვილს და ნინა თიბილაშვილს . "რუსთავი 2"-მა ირმა ხეცურიანზე გადაცემა "შუადღეში" მოამზადა სპეციალური სიუჟეტი, სადაც პარამოფარიკავის წარმატების ისტორიაა მოთხრობილი. ასევე, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოამზადა სიუჟეტი პარაძიუდოისტ ცოლ-ქმარზე, სადაც მოთხრობილია მათი სიყვარულის ისტორია, სპორტული მიღწევები და ცხოვრებისეული გამოცდილება. სიუჟეტში ნაჩვენებია თუ როგორ ვარჯიშობენ შვილთან ერთად, როგორია მათი ყოველდღიური ცხოვრება და როგორ ამხნევებენ ერთმანეთს. სწორედ ამ პერიოდში (დეკემბერში) აშშ-დან პარასამხედროებმა 23 მედალი ჩამოიტანეს, რომელიც გაშუქდა "იმედზე", "რუსთავი 2"-სა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

უნდა აღინიშნოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, პირველ მარტს გაშუქებული პრობლემური საკითხები, სადაც საუბარი იყო სმენის დარღვევის მქონე მოზარდების მიზნებზე, ადრეულ ასაკში შეწყვეტილი განათლებასა და ოცნებად დარჩენილ პროფესიებზე. 10 მარტს გასულ სიუჟეტში კი ნაჩვენები იყო თუ რა პროექტებს ახორციელებს საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია დასავლელი პარტნიორების/დონორების დახმარებით. თუკი, სხვა ტელევიზიები მეტ-ნაკლებად ნაცნობ პრობლემას - კონკრეტულ დღეს აშუქებდნენ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში შშმ პირების გარშემო, ნაკლებად ცნობილი პრობლემები გაშუქდა, მაგალითად: შშმ ბავშვებისთვის პერსონალური ასისტირების სერვისის ხელმისაწვდომობა, შშმ პირები და სამხედრო სამსახური და სხვ.

რაც შეეხება, “ტვ პირველს”, “ფორმულას” და “მთავარ არხს” სამივე არხი ძირითადად აშუქებს შშმ საკითხების გარშემო არსებულ პრობლემებს. თუმცა, პრობლემების გაშუქებისას, თავად შშმ პირების ხილვადობის ნაკლებობაა. მაგალითად, “მთავარი არხის” მიერ მომზადებულ გადაცემაში, სტუმრებმა 16 წუთიან სიუჟეტში ისაუბრეს იმ პრობლემებზე, რასაც სმენის სირთულის და აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანები აწყდებიან. მრავალი პრობლემების მიმოხილვისას არც ერთხელ არ გამოჩნდა კადრში არც სმენის სირთულის და არც აუტისტური სპექტრის მქონე ადამიანი. “იმედის” შემთხვევაში, პრობლემები 3 თვის განმავლობაში არც ერთხელ არ გაშუქდა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ პერიოდში მოხდა აქონდროპლაზიით დაავადებული ბავშვების მშობლების აქციები. ასევე, არ გაშუქდა თერაპევტების აქცია და სხვა რეალური პრობლემები, რომელთან გამკლავებაც მოუხდათ შშმ პირებს თუ მათ ახლობლებს.

საკვლევ პერიოდს დაემთხვა აქონდროპლაზიის მქონე ბავშვთა მშობლების აქციები, რომელიც აქტიურად შუქდებოდა მედიით, გამონაკლისი იყო ტელეკომპანია “იმედი”, რომელმაც აღნიშნული პრობლემა არ გააშუქა.

ზოგადად, კვლევამ აჩვენა, რომ შშმ პირების ხილვადობა წარმოადგენს გაშუქების მთავარ პრობლემას და ეს ყველა ტელევიზიას ეხება. მაგალითად, “მთავარ არხზე” 2022 წლის 5 დეკემბრის “შენი დილა 07:30” გადაცემაში მოწვეული ჰყავდათ ინკლუზიური იდეების პლატფორმის დირექტორი მაკა ჩხაიძე. ჟურნალისტმა სწორედ მას ჰკითხა თუ რას ამბობენ სპექტაკლში მონაწილე პირები და რა ემოციები მიიღეს მათ. უმჯობესი იქნებოდა, თუ თავად შშმ პირებს მოიწვევდნენ სტუდიაში და მისცემდნენ შესაძლებლობას ესაუბრათ საკუთარ თავზე. ასევე, “იმედზე” პარასპორტსმენების დაჯილდოებაზე ორი რესპონდენტია ჩაწერილი, ამათგან არცერთი თავად პარასპორტსმენი. ერთი რესპონდენტი შშმ პირი, პარლამენტარი რატი იონათამიშვილია, რომელიც მმართველ პარტიას წარმოადგენს, ხოლო მეორე სპორტსმენი ლაშა ტალახაძეა.

“რუსთავი 2-ზე” მომზადებულ, 2023 წლის 3 მარტის 15 საათიანი “კურიერის” სიუჟეტში, რომელიც ასევე შშმ თემატიკას ეძღვნებოდა და აშუქებს შსს-ის კონფერენციას, 5 რესპონდენტია ჩაწერილი და მათგან მხოლოდ ერთია შშმ პირი, ოღონდ ისიც თბილისის მერიის წარმომადგენელი გიგა სოფრომაძეა.

“მთავარ არხზე”, 2022 წლის 20 დეკემბრის “მთავარი ამბები 21:00”-ზე, გასულ სიუჟეტში რომელიც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებზე იყო, ბავშვების კადრები სრულიად დაბლარულია მაშინ, როცა სიუჟეტის ერთ-ერთი გმირი, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი და მშობელი ჩანან. საკვლევ პერიოდში ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა შშმ ბავშვები დაბლარეს. სიუჟეტი არ იყო დაკავშირებული ისეთ თემასთან, სადაც არასრულწლოვანი პირის იდენტიფიცირება საფრთხის შემცველი იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ჟურნალისტებმა მარტივად უნდა იხელმძღვანელონ პრინციპით, თუკი, კონკრეტულ შემთხვევაში გამოაჩენდნენ ტიპური განვითარების ბავშვს, დასაშვებია შშმ ბავშვის გამოჩენაც.

არის ამბები, რომლებიც მოითხოვს, რომ ჟურნალისტმა რამდენიმე დილემას გაართვას თავი, განსაკუთრებით თუ საქმე კრიმინალის გაშუქებას ეხება. ასეთი ორი სხვადასხვა შემთხვევა იყო 2023 წლის მარტის ბოლოს, როცა არასრულწლოვანი, შშმ პირის გაუპატიურების ამბავი გაშუქდა. პირველ ამბავში, ფიგურირებდა ბავშვის მამინაცვალი, ხოლო მეორეში მეზობელი და ეს უკანასკნელი მოხდა ერთ-ერთ რეგიონში. ეს ამბავი “რუსთავი 2”-ზე სულ 4-ჯერ გაშუქდა (2, 23, 29, 30 მარტი).

ეს საკითხი “რუსთავი 2”-ზე 2-ჯერ პრაიმტაიმის პერიოდში გაშუქდა. 4-ჯერ გაშუქდა შშმ ბავშვზე ძალადობის ამბავი, რომელიც ერთ-ერთ რეგიონში მოხდა- “მთავარზე” (30 და 31 მარტს). ხოლო, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მხოლოდ ერთხელ, 31 მარტს გაშუქდა.

2023 წლის 2 მარტს გაშუქებული მასალის მომზადებისას, “რუსთავი 2-ზე” მსხვერპლის დედა დაბლარულია, ისევე როგორც საცხოვრებლის კადრები, შეუძლებელია დაზარალებულის თუ საქმეში მოქმედი პირების იდენტიფიცირება. თუმცა, ექსკლუზიურად მოპოვებული მასალა შეიცავს მსხვერპლის დაკითხვის ოქმის ნაწილებს, სადაც დეტალურადაა აღწერილი ძალადობის ზოგიერთი ეპიზოდი, რაც დაუშვებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამბავი მხოლოდ “რუსთავი 2”-მა გააშუქა.

მეორე ამბავზე მუშაობისას, “რუსთავი 2”-ის 29 მარტის სიუჟეტში მეზობელი აჟღერებს შემდეგ ფრაზას : “25 წელია აქ ვცხოვრობ და მაგ კაცისთვის მაგის მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. ცოდოს თქმა ძნელია, აგოს პასუხი. პატარა რაღაცა არის ამ ხნის კაცზე ამხელა რაღაცის თქმა?!. ერთად დავბერდით და ცოდვა როგორ ვთქვა...” ამ სახის კომენტარები დამნაშავის ადვოკატირების ელემენტებს შეიცავს, ამიტომ არაა რეკომენდებული მედიის საშუალებით გაჟღერდეს, სავარაუდო დამნაშავის პიროვნული თვისებების შესახებ მეზობლის მოსაზრების გაშუქება მაყურებელს არაფერს აძლევს საერთოდ.

“რუსთავი 2”-ზე იმავე საქმეზე, 30 მარტს გაშუქებულ ამბავში ჟურნალისტი ადგილობრივებს ეკითხება იყო თუ არა დამნაშავე პარტია ნაციონალური მოძრაობის წევრი. სავარაუდო დამნაშავის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ასევე შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად.

“მთავარი არხისა” და საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში, ისე გაშუქდა არასრულწლოვანის მიმართ გარყვნილი ქმედების ამბავი, რომ დაზარალებულისა და დამნაშავის იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო. თუმცა, ამ არხებზე არ გასულა სიუჟეტი, არასრულწლოვანი შშმ პირის გაუპატიურების შესახებ, რომელიც მხოლოდ “რუსთავი 2-ზე” გვხვდება. ეს გვაფიქრებინებს, რომ მასალა სატელევიზიო არხის ექსკლუზივი იყო.

მასალების ანალიზიდან ჩანს (იხ. ცხრილი N7), რომ ყველაზე ხშირად შუქდება შშმ პირთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები (26%), შემდეგ შშმ პირებთან დაკავშირებული აქციები/ ფესტივალები (24%), საგანმანათლებლო ტრეინინგები/ვორქშოფები (22%); ინფრასტრუქტურა და რეაბილიტაცია (19%), სოლიდარობის გამოხატვა მედიით (4%), ჯანდაცვა (4%) ტოლერანტობა და სენტიმენტები (1%).

ცხრილი N7: შშმ პირების გაშუქების თემატიკა

თემატიკა/მედია	**იმედი**	**რუსთავი 2**	**საზ. მაუწყებელი**	**ტვ პირველი**	**ფორმულა**	**მთავარი**	**ჯამი**
უფლებრივი მდგომარეობის გაშუქება	17	13	4	0	1	0	**35**
შშმ- დაკავშირებული აქციები/ ფესტივალები/ საერთაშორისო დღეები	9	13	7	1	2	0	**32**
საგანმანათლებლო ტრენინგები/ ვორქშოპები/	12	7	8	1	1	0	**29**
ინფრასტრუქტურა/ რეაბილიტაცია	6	9	6	2	2	0	**25**
ჯანდაცვა	0	3	0	2	1	0	**6**
სოლიდარობის გამოხატვა მედიის მხრიდან/საშუალებით	4	2	0	0	0	0	**6**
ტოლერანტობა, სენტიმენტები (სევდიანი მუსიკა, ფერები, ინტონაცია)	0	1	0	0	1	0	**2**

არსებული სტერეოტიპების შესაცვლელად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც ფიქრობენ. რესპონდენტმა N7-მა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ შშმ პირებთან დამოკიდებულება შესაცვლელია: *„შეცოდება არაა მთავარი, პირიქით. ამისთვის საჭიროა უფრო მეტი უშუალო კომუნიკაცია პოლიტიკური პარტიების ლიდერების სხვადასხვა შშმ პირების ჯგუფებთან. ასეთი შეხვედრები აუცილებელია იმისთვის, რომ პოლიტიკური ლიდერები უფრო სენსიტიურები გახდნენ ამ საკითხის მიმართ. ეს საკითხები ამგვარად დადგება პარტიების დღის წესრიგში“.*

როდესაც თემა ეხება შშმ პირებს, ჟურნალისტები ყველაზე ხშირად კონსულტაციისთვის მიმართავენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ შშმ თემებზე, ასევე, შშმ აქტივისტებს, ფსიქოლოგებს. ამ მხრივ გზამკვლევების ქართულ ენაზე არარსებობა მუშაობას ართულებს. ასევე, ნიუსრუმებში არ არიან კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ამ თემებში კომპეტენტურები არიან. თუმცა, ჟურნალისტები საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს და შემდეგ, საკითხს განიხილავენ და დამატებითი კითხვებით - არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავენ.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): ინფორმაციას ვეძებ სახელმწიფო უწყებებში ან თუ ხელი მიმიწვდება თავად შშმ პირთან ვაზუსტებ საკითხს.

რესპონდენტი N5: კონსულტაციისთვის არასამთავრობოებს მივმართავთ, რომლებიც მუშაობენ შშმ პირების თემებზე და ისინი ძალიან გვეხმარებიან. მათ ზუსტად იციან სტანდარტები.

რესპონდენტი N6: ვუკავშირდები ორგანიზაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, ასევე, ჟურნალისტების ეთიკის ქარტიას. განმარტებებს, უპირველესად ვეძებ-ხოლმე ინგლისურენოვან გაშუქების სახელმძღვანელოებში. ძალიან კარგია, რომ ქართულ ვერსიაზე მუშაობა მიმდინარეობს.

პოლიტიკოსები კონსულტაციებს უცხოური ორგანიზაციებისგან იღებენ. ასევე, მოქალაქეებს ამისამართებენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან იმ შემთხვევაში, როცა მათი კომპეტენცია არასაკმარისია. არის თანამშრომლობა სახალხო დამცველის აპარატთანაც.

პოლიტიკურ პარტიებში არ არიან კონკრეტული პირები, ვინც ამ საკითხებში კომპეტენტურია, თუმცა დანერგილია კონსულტაციებისა და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): გარკვეული კომპეტენციები გვაქვს, მაგრამ არაა საკმარისი და არც ერთ კონკრეტულ პირშია ეს კომპეტენციები თავმოყრილი. გვეხმარებიან იურისტები, ჯანდაცვის, განათლების ექსპერტები. სპეციფიკური ცოდნა საჭიროა და არასამთავრობო სექტორთან და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით შესაძლებელია უფრო ეფექტიანად მუშაობა.

არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის აღწერისას ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მათგან სრულყოფილ ინფორმაციას იღებენ და თანამშრომლობის მუდმივი მზაობაა. ამ მხრივ, სამთავრობო უწყებებზე უფრო ეფექტური სწორედ არასამთავრობო სექტორია, რომლებიც ჟურნალისტებს ეხმარებიან მოიძიონ და დაამუშაონ წყაროები.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): არასამთავრობო სექტორი, ძირითად შემთხვევებში, უფრო ხელმისაწვდომია შშმ პირების საკითხთან დაკავშირებით, ვიდრე სამთავრობო.

რესპონდენტი N6: ამბის სიღრმისეული გაშუქებისთვის ინსპირაცია შეიძლება გახდეს შშმ პირების თემებზე მომუშავე არასამთავრობოების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები და კვლევები. სახელმწიფო, ჩემი გამოცდილებით, არაფერს აკეთებს ამ მიმართულებით.

რესპონდენტი N5: არასამთავრობო ორგანიზაციები ერთ-ერთი ჩვენი დასაყრდენია, როცა შშმ პირების თემებს ვაშუქებთ. ისინი გვეხმარებიან მომხდარი ამბის სწორად ანალიზში, მათ ჰყავთ კონტაქტები, რომლებიც გვჭირდება. სტანდარტებსაც გვკარნახობენ-ხოლმე, რასაც ვითვალისწინებთ.

რესპონდენტი N6: ამ თანამშრომლობის ძალიან კარგი გამოცდილება მაქვს. ისინი მზად არიან გაგესაუბრონ, არიან კარგი რესპონდენტები, აქვთ ანალიტიკური მასალები, რომლებსაც ვიყენებთ, გვაძლევენ რჩევებს თემის საუკეთესოდ გაშუქებისთვის.

მედიით დისკრიმინაციული განცხადებები შეიძლება გაუცნობიერებლადაც გავრცელდეს და სამწუხაროდ, მედიის მხრიდან პასუხისმგებლობის გაუაზრებლობამ შეიძლება განაპირობოს დისკრიმინაციული გარემოს გაძლიერება. შეცდომის დაშვებისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა აუცილებელია განმარტების გავრცელება, სადაც ეს ხარვეზი გამოსწორდება. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა. არის შემთხვევები, როცა დაშვებულ შეცდომებზე მითითებისას, მედია ცდილობს თავი დაიცვას და სამოქალაქო სექტორი აქეთ დაამუნათოს. ამის ნათელი მაგალითია აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასული მასალა და მასზე რეაგირების ფორმა. საკვლევ პერიოდში (2022 წლის სექტემბერი - 2023 წლის აპრილი) საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია განცხადებით გამოეხმაურა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემა “დიდ შესვენებაში” მომხდარ ფაქტს, როცა “წამყვანებმა ანეკდოტის მოყოლითა და საკუთარი რეაქციებით ხელი შეუწყვეს დისკრიმინაციული გარემოს შექმნასა და სტერეოტიპების გაძლიერებას”. გადაცემის ავტორებმა მოგვიანებით განცხადება გაავრცელეს, რომელმაც გამოკვეთა, რომ “წამყვანებს არ აქვთ გააზრებული პასუხისმგებლობა და დისკრიმინაციული გარემოს შექმნას ვერ აღიქვამენ პრობლემად (ქარტიის განცხადება, 2022).

შშმ პირების თემების გაშუქებას პერიოდულად ეხმიანება “მედიაჩეკერი”, საკვლევ პერიოდში პორტალზე ორი შემთხვევა (16.09.2022 და 06.03.2023) იყო განხილული.

ინტერვიუებმა გამოკვეთა, რომ არასამთავრობო სექტორთან მუშაობას დადებითად აფასებენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებიც, თუმცა აღნიშნავენ, რომ სამოქალაქო სექტორის რესურსიც შეზღუდულია და საჭიროა მეტი მუშაობა ამ კუთხით. ასევე, ეს თანამშრომლობა უფრო აქტიური ხდება საარჩევნო პროგრამაზე მუშაობის დროს.

პოლიტიკოსებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ გასული წლების საარჩევნო გეგმაში ძირითადად ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე ამახვილებდნენ ყურადღებას (რესპონდენტი N3). შშმ პირების პრობლემები ინტეგრირებული იყო ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურის პროგრამაში (რესპონდენტი N7) .

2024 წლის საარჩევნო გეგმაზე მუშაობისას პოლიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ მუშაობა დაწყებულია და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პროგრამის შემუშავებაში თემის ჩართულობას.

გირჩი - მეტი თავისუფლება (რესპონდენტი N3): 2024 წლის საარჩევნო გეგმაში დარჩება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ინიციატივა და ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც მეტად ადაპტირებულ გარემოს შექმნის შშმ პირებისთვის.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): არჩევნებზე გავდივართ „გამარჯვების პლატფორმის“ ფარგლებში. ჯერ-ჯერობით პროგრამა არაა დასრულებული და წინა წლების დანაკლისი, ვფიქრობ აქ იქნება ასახული. თემის ჩართულობა არის მნიშვნელოვანი ამ პროცესში. ვიმედოვნებ, რომ წელს ეს ჩართულობა იქნება უფრო ფართო.

გამოკითხული პარტიების პოლიტიკურ საბჭოებში შშმ პირები არ არიან წარმოდგენილები, თუმცა ინტერვიუს მსვლელობისას ნახსენები იყო თემის აქტიური წევრები, რომლებიც საარჩევნო პროცესებსა და საპროტესტო აქციებშიც მონაწილეობენ.

გირჩი - მეტი თავისუფლება (რესპონდენტი N3): პარტიის პოლიტსაბჭოში შშმ პირი არ გვყავს, თუმცა გვყავს რამდენიმე აქტიური წევრი, რომელიც დისკუსიებში ხშირად იღებს მონაწილეობას და ეტლით აქციებზეც დადიოდა ჩვენთან ერთად. პოლიტსაბჭოშიც და ზოგადად, კვოტების დაწესების მომხრე არ ვართ. ნებისმიერს, ვინც სურვილს გამოთქვამს და საკმარისად იაქტიურებს, ისედაც ექნება შესაძლებლობა პარტიის პოლიტიკურ საბჭოში მოხვედრის.

სტრატეგია აღმაშენებელი (რესპონდენტი N7): აქტიური წევრი ბევრი არ არის, მათგან რამდენიმე ჩართულია საარჩევნო პროცესში, საუბნო მუშაობაში.

დავინტერესდით, ჟურნალისტური პროდუქტის მომზადების სპეციფიკითაც. ჟურნალისტებს შშმ პირების თემის გაშუქებისას, გადაფარვის კადრების, ფოტოების, გაფორმების შერჩევისას რაიმე განსაკუთრებული მიდგომა არ აქვთ. ისინი ხშირად იყენებენ სწორედ რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ფოტო მასალას, სოციალურ ქსელებზე განთავსებულ მასალას, რომელსაც თანხმობის მიღების შემთხვევაში აქვეყნებენ. მიდგომა ისეთია, როგორც ნებისმიერ სხვა რესპონდენტის მიმართ. თუმცა, ზოგადად, არასრულწლოვანების ჩაწერის მიდგომაზე ითქვა, რომ ხდება ე.წ. დაბლარვა (ფონის დადება სახეზე, რომ ვერ მოხდეს პირის იდენტიფიცირება) და იგივე პრინციპია შშმპ არასრულწლოვანების შემთხვევაშიც. “დაბლარვა” ყველა შემთხვევაში არაა სწორი გამოსავალი და აქაც, მნიშვნელოვანია მასალის შინაარსისა და თემის კონტექსტის გათვალისწინება.

რესპონდენტი N6: კადრების არჩევისას მთავარია არ ილახებოდეს რესპონდენტის ინტერესი და მასთან შეთანხმებული იყოს ის ვიზუალი, რომელსაც ვიღებ. თავად მან იგრძნოს თავი კომფორტულად.

შშმ პირების საკითხების გაშუქებისას, ჟურნალისტები სირთულეებს აწყდებიან. მაგალითად, კრიტიკული მედიის წარმომადგენლები სწუხან, რომ სახელმწიფო უწყებები უარს ამბობენ თანამშრომლობაზე და კითხვები უპასუხოდ რჩება, შესაბამისად მასალა ცალმხრივი გამოდის. პრობლემაა არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა და სახელმწიფოს პასიურობა.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N5): ქალაქი არაა ადაპტირებული. სირთულეა ამა თუ იმ ლოკაციაზე შშმ პირების ჩაწერა. სტუდიაში მათ მოყვანასთან დაკავშირებითაც პრობლემებს ვაწყდებით. შინაარსს სიფრთხილით ვეკიდებით, რომ შეცდომა არ დავუშვათ, თუნდაც ტერმინოლოგიაში.

ჟურნალისტებმა ვერ გაიხსენეს შემთხვევა, როცა შშმ თემის წარმომადგენლებმა ან მათი ინტერესების დამცველმა მიმართეს იმის შესახებ, რომ დაირღვა მათი უფლებები. ჩვენ დავინტერესდით ასეთ დროს, რა პროცედურებია დანერგილი ნიუსრუმში, რედაქციაში. მაგალითად, ხდება თუ არა მასალის ჩასწორება?

ტვ პირველი (რესპონდენტი N1): ასეთ შემთხვევაში ხდება როგორც პირადად ბოდიშის მოხდა, ასევე საჯაროდ სატელევიზიო ეთერში, ან სოციალურ ქსელში გადაცემის სახელით განცხადების გაკეთება.

რუსთავი 2 (რესპონდენტი N4): დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში, მოხდება ინფორმაციის გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში, ჩასწორება.

რესპონდენტი N6: მიდგომა ისეთია, რომ მასალა შეიძლება ჩასწორდეს, მოვიხადოთ ბოდიში ან საერთოდ ავიღოთ პლატფორმიდან.

შშმ პირების გაშუქებისას მედიასთან ურთიერთობის აღწერისას, მშობელმა კონკრეტულ გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება. მთავარი გამოწვევა არის ჟურნალისტების მოუმზადებლობა ინტერვიუს ჩაწერის წინ.

შშმ პირის მშობელი (რესპონდენტი N8): „როცა ინტერვიუზე მოდიან, არ ხდება შშმ პირების მდგომარეობისა და საჭიროების გათვალისწინება. მაგ., უნდოდათ აუტისტი გოგონას ჩაწერა კონკრეტულ დღეს და დროს. ეს მოთხოვნა სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც ვერ გავაგებინეთ ჟურნალისტს. ჟურნალისტი ცდილობს ყველაფრის ფასად მოიპოვოს ინტერვიუ, მაშინაც კი როცა შეიძლება ეს იყოს დამაზიანებელი შშმ პირისთვის. ეს დამოკიდებულება არასწორია და სწორედ ამიტომ, საჭიროა ტრენინგები“.

„კარგი ჟურნალისტი, რომელიც შშმ პირის ჩაწერას აპირებს, აუცილებლად უნდა გაეცნოს ამ პირის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, წარმოდგენა ჰქონდეს სირთულეებზე. შშმ პირები არ არიან ტიპური რესპონდენტები, ამიტომ ჟურნალისტსაც სჭირდება მომზადება ინტერვიუს წინ. ოჯახის წევრისთვისაც კომფორტია, როცა ჟურნალისტმა იცის ბევრი რამ. მქონდა შემთხვევა, როცა ჟურნალისტმა თავად მითხრა, რომ მოიცდიდა ინტერვიუს აღებას, რომ არ დასტრესილიყო ჩემი შვილი და ეს ჩემთვის შვება იყო“ - აღნიშნავს შშმ პირის მშობელი (რესპონდენტი N8).

რეკომენდაციებზე საუბრისას სწორედ ტრენინგების საჭიროებაზე გამახვილდა ყურადღება, რომელიც საჭიროა როგორც მოქმედი, ასევე მომავალი ჟურნალისტებისთვის.

შშმ პირის მშობელი (რესპონდენტი N8): „ეს ტრენინგები უნდა იყოს სისტემატური და აქცენტით: როგორ ვიურთიერთოთ შშმ პირებთან სწორად? აქ შედის ტერმინოლოგია, დისკრიმინაციის თავიდან აცილების თემები. არასწორია, როცა ხდება შშმ პირების წარმოჩენა ზედმეტად პოზიციურ კონტექსტში, თითქოს ისინი ზებუნებრივი ძალებით არიან დაჯილდოებულები. ასე არაა. უნდა იყოს რეალური მდგომარეობის გაშუქება, თავისი შესაძლებლობებითა და აუცილებლად, თავისი სირთულეებით. შშმ პირების მდგომარეობის ხილვა არ უნდა იყოს გასაკვირი ადამიანებისთვის. მაგალითად, ჩემი შვილის შემთხვევაში ესაა განსხვავებულად მეტყველება. ჟურნალისტმა უნდა აჩვენოს, რომ ესეც ნორმაა. არაა საჭირო ზედმეტი შეფუთვა და ლამაზად წარმოჩენა. ძლიერი უნარების წარმოჩენაც საჭიროა და სირთულეებისაც“.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიისას ყურადღება გამახვილდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. პრობლემად დასახელდა ის, რომ მედია არ იყენებს სუბტიტრებს. აღინიშნა ისიც, რომ საზოგადოებამდე ინფორმაციის მიტანაში დიდია შშმ აქტივისტების როლი.

„აქტივისტები ახერხებენ ხმა მიიტანონ საზოგადოებამდე და ამას, ძირითადად, საკუთარი სოციალური ქსელების გამოყენებით აკეთებენ“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, თემის წარმომადგენელი).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ცნობიერების ამაღლება სკოლიდან უნდა იწყებოდეს, საჭიროა ტრენინგები და შემეცნებითი ვიდეოები. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის აზრით, საკმარისი არაა მხოლოდ ჟურნალისტური უნარების ქონა, არამედ საჭიროა ჟურნალისტების გადამზადება დარგობრივი - ინკლუზიური განათლების მიმართულებით.

„ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დარგის სტუდენტებისთვის, რომლებსაც მომავალში შშმ პირთა საკითხების პოლიტიკის შემუშავებაზე ექნებათ გავლენა. ვგულისხმობ ჟურნალისტებს, პოლიტოლოგებს, სოციალურ მუშაკებს და სხვა“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, სტუდენტი).

ფოკუს-ჯგუფში მნიშვნელოვნად მიიჩნევენ რელიგიური კონფესიების წარმომადგენლების როლს სტერეოტიპების შეცვლაში. ეს ჩართულობა მნიშვნელოვანია არა მარტო ქველმოქმედების კუთხით, არამედ სწორედ სტერეოტიპების შეცვლისთვის.

„რომის პაპი ხშირად აკეთებს განცხადებებს ამ თემაზე. ჩვენს ქვეყანაში, ამას არ აკეთებს არც ეკლესია, არც ოპოზიცია და არც ხელისუფლება. ამიტომ, გამოსავალს ისევ მედიაში ვხედავ. განსაკუთრებით დიდია საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, სტუდენტი).

„ტრენინგები კარგია, თუმცა ეს არის გრძელვადიან შედეგზე გათვლილი ხედვა. მედიის გარდა, მნიშვნელოვანი როლი აკისრია თავად შშმ პირთა თემს“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, თემის წარმომადგენელი).

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, რომ მედიის პოლიტიზირებულობა ზეგავლენას ახდენს დღის წესრიგზე და ის აზიანებს ისეთ თემებს, როგორიცაა სოციალურ საკითხები და შშმ პირთა თემები. მედია, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაჭრაზე იქონიოს გავლენა, ძალიან პასიურია შშმ პირთა საკითხების გაშუქებისას.

3. დასკვნა

შშმ პირთა საკითხების გაშუქების კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება და ტენდენცია.

ხილვადობა და რესპონდენტები: შშმ პირების ხილვადობა მედიაში არასაკმარისია. რესპონდენტებად შშმ პირები უფრო იშვიათად ჩანდნენ, განსაკუთრებით ისეთი საკითხების გაშუქებისას, რომლებიც მათ თემს უშუალოდ არ ეხებათ. ყველაზე ხშირად, თემთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, რესპონდენტები არიან ექსპერტები, მშობლები ან მთავრობის წარმომადგენლები.

სტერეოტიპები და ფრეიმინგი: კვლევამ აჩვენა, რომ მედიაში შშმ პირების გაშუქებისას, ძირითადად, პოზიტიური ისტორიები ჭარბობს (39%), რასაც მოსდევს პრობლემატიკის გაშუქება (20%). კვლევის პერიოდში არ დაფიქსირდა არცერთი მასალა, სადაც შშმ პირები წარმოჩენილიყვნენ სიბრალულის ობიექტად, კომიკურ/დასაცინ კონტექსტში ან როგორც "ტვირთი".

მასალის ქრონომეტრაჟი და ტიპი: შშმ პირების ხილვადობა არასაკმარისია. მაგალითად, საკვლევ პერიოდში, პრაიმტაიმში შშმ პირების საკითხები მხოლოდ 6-ჯერ მოხვდა, რაც საერთო სიუჟეტების 3%-ია. ხშირად შშმ პირების საკითხები გაშუქებულია საინფორმაციო გადაცემებში, მაგრამ იშვიათად დილის ან გასართობ გადაცემებში.

ტერმინოლოგია: კვლევის პერიოდში, გამოყენებული ტერმინოლოგია ძირითადად იყო სწორი და ეთიკური. ყველაზე მეტად გამოყენებული ტერმინია "შშმ" (54%). ასევე ხშირია "ეტლით მოსარგებლე" (11%), "აუტისტური სპექტრის მქონე" (10%) და "დაუნის სინდრომის მქონე" (10%). არასწორი ტერმინები, როგორიცაა "ინვალიდი", "უნარშეზღუდული", თითქმის არ გამოყენებულა.

საკვლევ პერიოდში არ გამოვლინდა უხეში დარღვევები. არის ცალკეული ხარვეზები და პოზიტიური დისკრიმინაციის შემთხვევები. მთავარ პრობლემად შშმ პირების ხილვადობა და ინკლუზიაა, ასევე პრობლემაა თემების მრავალფეროვნება. დამატებითი დასკვნები წარმოდგენილია SWOT ანალიზი-ის სახით (იხ. ცხრილი N8), რომელიც აჩვენებს იმას, თუ სადაა განვითარების რესურსი და იმასაც, რა შეიძლება მოხდეს თუ ცვლილებები არ განხორციელდება.

ცხრილი N8: SWOT ანალიზი: შშმ პირების გაშუქება ქართულ მედიაში

S - ძლიერი მხარეები	O - შესაძლებლობები
• კვლევის მიხედვით, შშმ პირების გაშუქებისას ეთიკური ტერმინოლოგია გამოიყენება. სწორი ტერმინოლოგიის გამოყენება ხელს უწყობს სტიგმების შემცირებას და შშმ პირების უკეთეს ინტეგრაციას საზოგადოებაში. • შშმ პირების თემატიკის აღსანიშნავ თარიღებს მედია აქტიურად აშუქებს • შშმ პირების თემები მეტ-ნაკლებად შუქდება როგორც საინფორმაციო გადაცემებში, ასევე დილის და გასართობი ტიპის გადაცემებში. ეს ხელს უწყობს მათი საკითხების ფართო აუდიტორიისთვის მიწოდებას. • მედიაში ხშირია შშმ პირების პოზიტიური ისტორიების გაშუქება, რაც ხელს უწყობს საზოგადოების პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. • საპროტესტო დემონსტრაციებზე შშმ პირების ხილვადობა აქტიურია	• საჭიროა ჟურნალისტებისთვის მეტი ტრენინგების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს შშმ პირების საკითხების უკეთ გაშუქებას. ჟურნალისტების მხრიდან არსებობს მზაობა, რომ გაიღრმაონ კომპეტენციები. • შშმ პირების თემების გაშუქების სტანდარტებზე შეთანხმება მედიის პოლარიზაციაზე დადებითად მოქმედებს • შშმ პირები აღქმულნი არიან, როგორც აქტიური მოქალაქეები, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულნი არიან • შშმ პირები, თავის კომპეტენციის ფარგლებში, მედიაში სხვადასხვა, ისეთ თემაზე ჩანან, რომელიც არ უკავშირდება მხოლოდ თემის გამოწვევებს. • საჭიროა მედიაში შშმ პირების პოზიტიური ისტორიების გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას და შშმ პირების სრულფასოვან ინტეგრაციას. • საჭიროა შშმ პირების ხილვადობის გაზრდა მედიაში, განსაკუთრებით პრაიმტაიმსა და რეიტინგულ გადაცემებში.
W - სუსტი მხარეები	**T - საფრთხეები**
• შშმ პირების ხილვადობა მედიაში კვლავ არასაკმარისია. რესპონდენტებად შშმ პირები იშვიათად ჩანან, განსაკუთრებით ისეთი საკითხების გაშუქებისას, რომლებიც უშუალოდ არ ეხებათ. შშმ პირები მედიაში ჩანან, ძირითადად, შშმ პირების პრობლემებთან და არა სხვა, მრავალფეროვან თემებთან კონტექსტში. • მედიაში ჯერ კიდევ ხშირია სტერეოტიპული ნარატივები, რომლებიც შშმ პირების მიმართ ნეგატიურ შეხედულებებს ამყარებს. • პოლიტიკური მიკერძოებულობის გამო, შშმ პირთა თემების პრობლემატიკა (რომლის მოგვარება მთავრობის კომპეტენციაა) სამთავრობო არხებზე ნაკლებად შუქდება • პოლიტიკური პარტიები (მმართველი გუნდი და ოპოზიცია) შშმ პირების თემატიკაზე მუშაობისას პასიურია. • მედიის პოლარიზება გავლენას ახდენს თემის გაშუქების სიხშირეზე (მედიის დღის წესრიგიდან სოციალური თემები, შშმპ თემები განდევნილია). • შშმ პირების საკითხების გაშუქებისას ხშირად პრივილეგირებული რესპონდენტები არიან ექსპერტები, მშობლები ან მთავრობის წარმომადგენლები, რაც შშმ პირების საკუთარი ხმის გაძლიერებას ხელს უშლის.	• თუ მედიაში შშმ პირების გაშუქება არასწორად ან არასრულფასოვნად გაგრძელდება, სტერეოტიპები და ნეგატიური ნარატივები შეიძლება გამყარდეს. • პოლიტიკოსებისა და მედიის დღის წესრიგში არ ჩანს შშმ პირების პრობლემატიკა, რაც აბრკოლებს თემის პრობლემების ადვოკატირებას • მედიისა და პოლიტიკური გარემოს პოლარიზება კვლავაც განდევნის დღის წესრიგიდან შშმპ თემის პრობლემატიკას. • თუ შშმ პირების რესპონდენტებად ჩართვა კვლავ შეზღუდული დარჩება, მათი საკუთარი ხმის გამოჩენის რისკი იზრდება, რაც მათ პრობლემებსა და საჭიროებებს ნაკლებად გააჩენს დღის წესრიგში.

კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ქართული მედია ცდილობს და მოწოდებულია უკეთ გააშუქოს შშმ პირების საკითხები. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შშმ პირების ხილვადობის გაზრდას და მათი პრობლემების მრავალფეროვან და ეთიკურად გაშუქებას. მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ჟურნალისტების მგრძნობელობა და ინფორმირებულობა შშმ პირების საჭიროებებისა და პრობლემების მიმართ. მედიაში ხილვადობის გაუმჯობესებას პირდაპირ და ირიბად ხელს შეუწყობს შშმ პირთა თემების ადვოკატირება სხვადასხვა დონეზე. ეფექტიანობის გაზრდისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა მხარის (მათ შორის, პოლიტიკოსების, ხელისუფლებისა და ოპოზიციის, განათლების სფეროში დასაქმებული პირების და სხვ.) ჩართულობის გაზრდა.

4. რეკომენდაციები

რეკომენდაციები მედიისთვის:

- შშმ პირების ხილვადობის გაზრდისთვის (მათ შორის, პრაიმტაიმში) სასურველია, სიუჟეტებში შშმ პირები გამოჩნდნენ, როგორც რესპონდენტები არა მარტო შეზღუდული შესაძლებლობის თემზე მომზადებულ მასალებზე, არამედ მრავალფეროვან თემატურ კონტექსტში.

- შშმ პირები, როგორც რესპონდენტები არ უნდა იყვნენ დაკავშირებულები მხოლოდ შშმ პირთა საკითხებთან. ისინი, შეიძლება წარდგნენ სხვადასხვა სახის ექსპერტებად. შშმ პირების წარმოჩენა მნიშვნელოვანია ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემებისას და არა მარტო თემის პრობლემატიკის ფარგლებში.

- იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება შშმ პირის ჩაწერა, სასურველია ჩაიწეროს მშობელი/ მეურვე. მაყურებლისთვის მნიშვნელოვანია, შშმ პირთა საკითხები უშუალოდ პირველწყაროდან მოისმინონ. საჭიროა შშმ პირებისა და მათი მეურვეების/მშობლების ვინაობა მიეთითოს ტიტრებში.

- შშმ ბავშვებზე სიუჟეტების მომზადებისას, ჟურნალისტმა უნდა იხელმძღვანელოს იმავე რეკომენდაციებით, რომლითაც ხელმძღვანელობს ტიპური განვითარების მქონე ბავშვის გაშუქებისას.

- ჟურნალისტები არ უნდა დაელოდონ კონკრეტულ თარიღს, რათა შშმ პირთა საკითხი გააშუქონ.

- პოზიტიური დისკრიმინაციის თავიდან ასარიდებლად, სასურველია მედია მოერიდოს ისეთი ტერმინების გამოყენებას, რომელიც შშმ პირებს წარმოაჩენს სუპერ-გმირებად ან გამორჩეული უნარების მქონე ადამიანებად.

- საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისთვის საჭიროა იშვიათი დაავადებების შესახებ მეტი მასალის მომზადება.

- შშმ პირებზე საუბრისას, სიუჟეტში მხოლოდ ერთი ტიპის შშმ პირი არ უნდა ჩანდეს. შეზღუდული შესაძლებლობა არ უნდა ასოცირდებოდეს მხოლოდ ერთ სინდრომთან ან მდგომარეობასთან. საჭიროა მრავალფეროვანი გაშუქება.

- მნიშვნელოვანია შშმ პირთა საკითხებზე მოსაუბრე რესპონდენტების წრის გაფართოება. ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მედია შეიძლება დაინტერესდეს პოლიტიკური პარტიების პოზიციებითაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არჩევნების წელს, პროგრამების განხილვის პროცესში. მედია უნდა დაინტერესდეს რას სთავაზობს ესა თუ ის პარტია შშმ პირებს და რამდენად იცნობს მათ პრობლემებს.

- ჟურნალისტი, რომელიც შშმ პირის ჩაწერას აპირებს, სასურველია წინასწარ გაეცნოს ამ პირის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

- მედიის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება და ბოდიშის მოხდა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ არ გაძლიერდეს დისკრიმინაციული გარემო. ამ კუთხით, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა და მათ შენიშვნებზე რეაგირება განხილული უნდა იყოს, როგორც თანამშრომლობის ფორმა.

რეკომენდაცია პოლიტიკური პარტიებისთვის:

- მედიაში პოზიციონირებისას, პოლიტიკურმა პარტიებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ შშმ პირთა თემატიკას.
- შშმ პირთა თემატიკა უფრო მრავალფეროვანი გახადონ და მოიცვან სხვადასხვა (არა მხოლოდ ინფრასტრუქტურული) საჭიროებები.
- საარჩევნო პროგრამების შემუშავებაში აქტიურად ჩართონ შშმ პირები და ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

რეკომენდაციები საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის

- შშმ პირთა თემატიკაზე, სტუმრად მიწვევის შემთხვევაში, ტელევიზიას შესთავაზონ შშმ პირის ჩართულობა.
- ჟურნალისტებისა და სტუდენტებისთვის ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება.
- სხვადასხვა პროფესიის შშმ პირების საკონტაქტო ბაზის შექმნა (შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში), სადაც ჟურნალისტები შეძლებენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლის მოძიებას.

ბიბლიოგრაფია

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა “დიდი შესვენება”, სოციალური ქსელი “Facebook”-ზე გამოქვეყნებული განცხადება (12.10.2022), ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/shesveneba/posts/pfbid0JjbfhAkrfMvq4b42ywPTszez8cP9ucuuvmHFn2pNeG4sEaoGb3yYCHnt1UWdZgp2l (ბოლო ნახვა: 20.05.2024)

გიორგაშვილი გიორგი (2022), მოკლედ და მარტივად — რა პრობლემა აქვს “მაუწყებლობის შესახებ” ახალ კანონპროექტს? მედიაჩეკერი, ხელმისაწვდომია: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/92699-mokled-da-martivad-ra-problema-aqvs-qmautsyeblobis-shesakhebq-akhal-kanonproeqts (ბოლო ნახვა: 20.05.2024)

ზაქარეიშვილი მ., ბარაბაძე ლ., მიდელაური ვ., (2015), World Vision, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმება, გზამკვლევი, ხელმისაწვდომია: https://wvi.org/sites/default/files/WV_Toolkit_web.pdf (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

“კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის” ვებგვერდი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://disability.ge/ge (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

ონლაინ-პორტალი “პუბლიკა”, შშმ პირები ხელისუფლებას მოუწოდებენ, არ მიიღოს რუსული კანონი, 8 აპრილი, 2024, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/pirebi-khelisuflebas-mouwdeben-ar-miighon-rusuli-kanoni/ (ბოლო ნახვა: 20.05.2024)

ონლაინ-პორტალი “პუბლიკა”, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ბრძოლა შრომის ბაზარზე | რა უნდა ვიცოდეთ გონივრულ მისადაგებაზე, 28 ოქტომბერი, 2021, ხელმისაწვდომია: https://publika.ge/blog/shezghuduli-shesadzleblobis-mqone-pirebis-brdzola-shromis-bazarze-ra-unda-vicodet-gonivrul-misadagebaze/ (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

სამოქალაქო პროტესტის პოლიტიკური იარლიყი დილის საინფორმაციო გამოშვებებში, მედიაჩეკერი, 2023 ხელმისაწვდომია: https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/94010-samoqalaqo-protestis-politikuri-iarliyi-dilis-sainformacio-gamoshvebebshi (ბოლო ნახვა: 20.05.2024)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (2020). გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილი სტანდარტები, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/news/არჩევნები%20პოსტერები/გაეროს%20სტანდარტები%20შშმ%20პირთა%20უფლებების%20შესახებ-2.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR31EFksirRBncvxyN35EGvCjrDhSM03KgkgontNN3n0F_uZg4a4Wb5_6kY_aem_AVIGdlWHNlkeXIkYegXiBwp99-3BRYyCJRkdB1kWAmK3QOcDnq6XKdzUmAQ5-7o1jTo5wpTY2_fw5b0U-8a0XJVs (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადება (2022), საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დისკრიმინაციული გარემოს შექმნა დაუშვებელია, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/92844-sazogadoebrivi-mautsyeblis-ethershi-diskriminaciuli-garemos-sheqmna-daushvebelia (ბოლო ნახვა: 20.05.2024)

ტელეკომპანია “ფორმულა”, ვის შეუქმნის პრობლემებს რუსული კანონი - შშმ, 5 აპრილი, 2024 ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/108808 (ბოლო ნახვა: 20.05.2024)

ტელეკომპანია “მთავარი არხი”, რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციას შშმ პირები მსვლელობით შეუერთდებიან, 13 მაისი, 2024, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/news/156165-rusuli-kanonis-sacinaaghmdego-aktsias-shshm (ბოლო ნახვა: 20.05.2024)

International Disability Alliance (2018), შშმპ ჯგუფები, ხელმისაწვდომია: https://www.internationaldisabilityalliance.org (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

Parent Center Hub (2018), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ ინფორმაცია. ხელმისაწვდომია: https://www.parentcenterhub.org/disabilitygroups/#factsheets (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

UNDP (2021), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობის ანალიზი საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/pwds_situation_analysis_2021_geo.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR12mqecxTK5k1THBkqVQyR32XQhioJucc112nmO6JnyYikI-1f0Fku85y8_aem_AVLaqTBE0-WrSvxR4OWziVVVVaiYfP9ZaLtuF2zBIaE8yHmu7Iz4xuWrek2oOmv91ir02r8kaUB7b_HieF4fTMfh (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

UNICEF (2016), ინკლუზიური განათლება საქართველოში, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის პოლიტიკური ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/media/1176/file?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR01gTh39YDnEdXNsFAjzmoskqCsE9qTHiqmJUh-HcAbNZMloKVFNl8AZow_aem_AVK3xWjRD18oxv5ScP2IAj2WFCgByS7sLrtxB9D38sVYmgYM-rZkg2r9_GivaEVcP6hiD1NdlijJ7K3rtN11sRtvP (ბოლო ნახვა: 23.07.2024)

“IPM კვლევების” მედია-მონიტორინგის ბაზა და მედიაარქივი, ხელმისაწვდომია: www.mediamonitoring.ge (ბოლო ნახვა: 22.07.2024)

დანართები

დანართი N1: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან ინტერვიუსთვის

1. როცა გესმით შშმ პირები, რა ჯგუფები გახსენდებათ?

2. უმეტესწილად, შშმ პირები მედიაში ფიგურირებენ მხოლოდ იმ თემებზე, რომლებიც მათ თემს ეხება. თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემების გაშუქებისას (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ამბები და სხვ.) შშმ პირების არ ჩანან, როგორც რესპონდენტები?

3. რატომ არ საუბრობენ პოლიტიკოსები და პარტიების წარმომადგენლები აქტიურად შშმ პრობლემატიკაზე?

4. ვის მიმართავთ კონსულტაციისთვის, როდესაც მნიშვნელოვანი თემა ეხება შშმ პირებს?

5. როგორ აღწერდით არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას ამ მიმართულებით?

6. ჰყავთ თუ არა პარტიაში პირი, ვინც ამ საკითხებში კომპეტენტურია?

7. გასული წლების საარჩევნო გეგმაში გათვალისწინებული იყო თუ არა შშმ პირების პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული პროექტები?

8. 2024 წლის საარჩევნო გეგმაში იქნება თუ არა გათვალისწინებული შშმ პირების პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული პროექტები (მაგ: ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯანდაცვის მხარდაჭერის პროექტები, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა და სხვ.)? როგორია/როგორი იქნება თემის ჩართულობა პროგრამებზე მუშაობისას?

9. გყავთ თუ არა პარტიის პოლიტსაბჭოში შშმ პირები?

10. გამოხატავენ თუ არა შშმ პირები პარტიაში გაწევრიანების ან/და ყოველდღიურ საკითხებში ჩართვის ინიციატივას?

დანართი N2: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი შშმ პირების მშობლებთან ინტერვიუსთვის

1. თქვენი აზრით, რამდენად საკმარისი ინტენსივობით და სრულფასოვნად შუქდება სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემები?

2. უმეტესწილად, შშმ პირები მედიაში ფიგურირებენ მხოლოდ იმ თემებზე, რომლებიც მათ თემს ეხება. თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემების გაშუქებისას (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ამბები და სხვ.) შშმ პირების არ ჩანან, როგორც რესპონდენტები?

3. თქვენი აზრით, რატომ არ/ვერ საუბრობენ პოლიტიკოსები და პარტიების წარმომადგენლები აქტიურად და კომპეტენტურად შშმპ პრობლემატიკაზე?

4. როგორ აღწერდით შშმ პირების გაშუქებისას მედიასთან ურთიერთობას? რა გამოწვევებს ხედავთ?

5. რა რეკომენდაციები გექნებოდათ მედიისთვის?

დანართი N3: სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი ჟურნალისტებთან ინტერვიუსთვის

1. როცა გესმით შშმ პირები, რა ჯგუფები გახსენდებათ?
2. თქვენი აზრით, რამდენად საკმარისი ინტენსივობით შუქდება სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემები?
3. თქვენი აზრით, რამდენად მოიცავს მედია სხვადასხვა ჯგუფის შშმ პირების პრობლემებს?
4. რა არის იმის მიზეზის, რომ ყოველდღიურ ამბებში, სხვადასხვა თემების გაშუქებისას (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ამბები და სხვ.) შშმ პირების არ ჩანან, როგორც რესპონდენტები?
5. ვის მიმართავთ კონსულტაციისთვის, როდესაც თემა ეხება შშმ პირებს?
6. გყავთ თუ არა ნიუსრუმში პირი, რომელიც ამ საკითხებში კომპეტენტურია?
7. როგორ აღწერდით არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას ამ მიმართულებით?
8. ამ თემის გაშუქებისას როგორ არჩევთ გადაფარვის კადრებს, ფოტოებს, გაფორმებას?
9. რა სირთულეებს აწყდებით, როცა შშმ პირების საკითხებს აშუქებთ?
10. გაიხსენეთ შემთხვევა, როცა მოგმართათ შშმ თემის წარმომადგენლებმა ან მათი ინტერესების დამცველმა იმის შესახებ, რომ რომ დაირღვა მათი უფლებები? ასეთ დროს, რა პროცედურებია დანერგილი ნიუსრუმში, რედაქციაში? ხდება თუ არა მასალის ჩასწორება?

დანართი N4: დისკუსიის გზამკვლევი "შშმ პირების გაშუქება მედიაში"

დისკუსიის მიზანია შშმ პირების შესახებ ქართულ ტელევიზიებში არსებული სტერეოტიპებისა და მათდამი დამოკიდებულების კვლევა. გზამკვლევი შედგება 8 საკითხისგან. თითოეულ საკითხს დაეთმობა დაახლოებით 8-10 წუთი.

დისკუსიის ხანგძლივობა: 1 საათი და 30 წუთი. პლატფორმა: ონლაინ

1. ზოგადი აღქმა:

- როგორ აფასებთ ქართულ ტელევიზიაში შშმ პირთა ამჟამინდელ გაშუქებას?
- შეგიძლიათ დაასახელოთ რაიმე პროგრამა ან შოუ, რომელიც განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებს?

2. კონტენტის ხარისხი:

- როგორ ფიქრობთ, ქართული ტელევიზია უზრუნველყოფს შშმ პირთა პრობლემებისა და მიღწევების ადეკვატურ და სრულ გაშუქებას? რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორ შეაფასებდით ასეთ პროგრამებში ინფორმაციის სიზუსტეს, აკურატულობას და სიღრმეს?

3. ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე

- როგორ ფიქრობთ, როგორ მოქმედებს ტელევიზიაში გაშუქება ქართულ საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აღქმაზე?
- შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები, როდესაც სატელევიზიო გადაცემებმა შეცვალა თქვენი აზრი ან დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ?

4. ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა:

- როგორ ფიქრობთ, ტელევიზია საკმარისად ინკლუზიურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის? ანუ, რამდენად ჩანან სხვადასხვა სფეროს გაშუქების კონტექსტში? როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებებია საჭირო?

- როგორ შეაფასებდით სატელევიზიო კონტენტის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ტიპის შეზღუდვების მქონე ადამიანებისთვის, როგორიცაა სმენადაქვეითებულებისთვის სუბტიტრები ან უსინათლოთა აუდიო აღწერილობები?

5. პრეზენტაცია და სტერეოტიპები:

- როგორ ფიქრობთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ეკრანზე საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, თუ გარკვეული ტიპები ყველაზე ხშირად არის ნაჩვენები? ასევე, არის თუ არა ქალი შშმ პირების პრობლემები უფრო აქტუალური და რატომ?

- როგორია მედიის როლი სტერეოტიპების შეცვლაში?

- როგორ ფიქრობთ, რამდენად ხშირად გამოიყენება სატელევიზიო გადაცემებში სტერეოტიპები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით? რა სტერეოტიპები გახსენდებათ? გენდერულად მიკერძოებული სტერეოტიპებზე რას გვეტყვით (მაგ: არის თუ არა ქალების მიმართ უფრო მიკერძოებული მედია, როცა აშუქებს შშმ პირები თემებს)?

6.თემები და ისტორიები:

- შშმ პირებთან დაკავშირებული რომელი თემებია ყველაზე ხშირად გაშუქებული ტელევიზიით? როგორ ფიქრობთ, რა მნიშვნელოვანი თემები რჩება ჩრდილში?

7. რეკომენდაციები და წინადადებები:

- რა ცვლილებებს შესთავაზებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სატელევიზიო გაშუქების გასაუმჯობესებლად?

8. პირადი გამოცდილება:

- გაქვთ თუ არა თქვენი ახლობლების პირადი გამოცდილება, ან რაიმე გამოცდილება შეზღუდული შესაძლებლობებისა და მათი სატელევიზიო გაშუქების შესახებ? გთხოვთ, გაგვიზიაროთ ამის შესახებ.

“მედიახმის” შესახებ

ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი - „მედიახმა“ დაარსდა 2015 წელს.

ცენტრის მიზანია მედიის და მასკომუნიკაციის სფეროს განვითარება, საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის და ახალი ცოდნის შექმნის გზით მედიაწიგნიერების ამაღლების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობა. ასევე, ინტერდისციპლინური ცოდნის ტრანსფერი და მედიის და მასკომუნიკაციის, მედიაფსიქოლოგიის, მედიასამართლისა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში კონსულტირება. სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას ცენტრი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიაორგანიზაციებთან. 2023 წლიდან ცენტრი არის “მედიის თავისუფლების კოალიციის” საკონსულტაციო ქსელის ერთადერთი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან. 2024 წლიდან “მედიახმა” არის მედიის განვითარების გლობალური ფორუმის (GFMD) წევრი.

ვებგვერდი: https://www.mediavoice.ge/ ელ-ფოსტა: info@mcerc.ge;

Facebook: https://www.facebook.com/mediavoice.ge

Instagram: https://www.instagram.com/mediavoice_georgia

LinkedIn: https://www.linkedin.com/company/media-voice-georgia/

Twitter/X: https://x.com/MediaVoice_Geo

ავტორების შესახებ

მარიამ გერსამია არის პროფესორი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მედიაფსიქოლოგი, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის - “მედიახმის” დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

ეკატერინე გიგაური არის მედიის კვლევების მაგისტრი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მედიაფსიქოლოგი, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის - “მედიახმის” მკვლევარი.